შპს ევროპული სკოლა

გარეგნული იერსახე და ჩაცმის პოლიტიკის დოკუმენტი

გადასინჯვის სიხშირე: ყოველწლიურად
დოკუმენტი მოამზადა: ადამიანური რესურსების მართვის სამსახური
დოკუმენტი მომზადდა: ოქტომბერი, 2024 წ.

GEORGIA "EUROPEAN SCHOOL" Ltd 205111

ბიჟიო ბაზაძე
დირექტორი

სარჩევი

ტერმინთა განმარტება 3
1. შესავალი 4
2. მიზანი 4
3. გავრცელების სფერო 4
4. პოლიტიკის პრინციპები 4
4.1 თანამშრომლის დრეს კოდი: 4
4.2 მოსწავლის დრეს კოდი: 5
5. შესაბამისობა: 6
6. დამხმარე დოკუმენტები 6

ტერმინთა განმარტება

ტერმინი	განმარტება
შპს ევროპული სკოლა	შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, რომელიც ხაზს უსვამს მულტილინგვურ და მულტიკულტურულ პედაგოგიურ მიდგომას. ევროპულ სკოლაში გაერთიანებულია სკოლამდელი აღზრდის ცენტრი, ქართული პროგრამის და საერთაშორისო ბაკალავრიატის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურები და ამერიკული უმაღლესი სკოლა.
დრეს კოდი	გარეგნული იერსახე და ჩაცმის წესი, რომლის დაცვაც სავალდებულოა სკოლაში დასაქმებული თანამშრომლებისთვის და ევროპული სკოლის მოსწავლეებისთვის.
პოლიტიკის დოკუმენტი	პოლიტიკის დოკუმენტი წარმოადგენს უმაღლესი დონის განცხადებას, რომელიც ასახავს ხელმძღვანელობის მიზნებს და მიმართულებებს. გამოქვეყნების შემდეგ, კომპანიის ყველა თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას ეს პოლიტიკა.
პროცედურა	პროცედურა წარმოადგენს სისტემატური ნაბიჯების სერიას, რომელსაც უნდა მიჰყვეს თანამშრომელი კონკრეტული აქტივობის ან დავალების შესრულებისას. ხშირად მოხსენიებულია, როგორც სტანდარტული სამოქმედო პროცედურა (SOP).
მოსწავლე	სკოლის მოსწავლე, რომელიც ირიცხება ევროპული სკოლის ერთ-ერთ პროგრამაში.

1. შესავალი

გარეგნული იერსახე და ჩაცმის პოლიტიკის დოკუმენტი (შემდგომში „დრეს კოდი“) წარმოადგენს შპს „ევროპული სკოლის“ (შემდგომში „სკოლა“) ოფიციალურ დოკუმენტს. აღნიშნული დოკუმენტი დეტალურად ასახავს თანამშრომელთა და მოსწავლეთა ჩაცმის იმ წესებს, რომლებიც შესაბამისობაშია სკოლის ისეთ შიდა რეგულაციებთან როგორიცაა: „შინაგანაწესი“, „მასწავლებლის სახელმძღვანელო“, „ეთიკის კოდექსი“ და სხვა. სკოლის ყველა პოლიტიკისა თუ პროცედურის დოკუმენტი ასევე შესაბამისობაშია საქართველოს მოქმედ შრომის კანონთან (შემდგომში „შრომის კოდექსი“) და სხვა შესაბამის კანონმდებლობასთან.

ევროპულ სკოლაში დრეს კოდი მოიაზრება თვითგამოხატვისა და იდენტობის გამოხატვის შესაძლებლობად. სწორედ ამიტომ სკოლის დრეს კოდის მიზანია ბალანსის დაცვა და თვითგამოხატვის შესაძლებლობასთან ერთად პატივისცემის, ინკლუზიურობისა და პრაქტიკულობის უზრუნველყოფა.

2. მიზანი

მოცემული დოკუმენტი წარმოადგენს სკოლის ჩაცმულობის მართვის ინსტრუქციას, და მისი მიზანია, სკოლის თანამშრომელი და მოსწავლე გაეცნოს სკოლის შიდა რეგულაციებით განსაზღვრულ ჩაცმულობის წესს და უზრუნველყოს დადგენილ ჩაცმულობის სტანდარტთან შესაბამისობა.

3. გავრცელების სფერო

მოცემული დრეს კოდი ვრცელდება სკოლის ყველა მოსწავლესა და თანამშრომელზე განურჩევლად მათი თანამდებობისა.

4. პოლიტიკის პრინციპები

4.1 **თანამშრომლის დრეს კოდი:** სკოლა ავალდებულებს ყველა თანამშრომელს, რომ მათი ჩაცმულობა იყოს კონვენციური და კომფორტული და ამავე დროს კომპანიის სტანდარტის შესაბამისი. თანამშრომელთა ჩაცმულობა უნდა გამოხატავდეს სანდოობასა და პასუხისმგებლობას. გამონაკლისები შეთხვევები დაიშვება მხოლოდ კონკრეტული დავალების შესრულებისას ან ღონისძიების დროს და მხოლოდ უშუალო ხელმძრვანელის დასტურით.

<u>ჩაცმულობა:</u> თანამშრომლები ვალდებულნი არიან სამუშაოზე ყოველდღიურად გამოცხადდნენ საქმიანი და პროფესიონალური ჩაცმულობით, სუფთა და ჰიგიენურად მოწესრიგებულნი. ჩაცმულობა არ შეიძლება იყოს გამომწვევი, დახეული ან მოუვლელი. დაუშვებელია შეუფერებელი (ზედმეტად მოკლე) ქვედა ბოლოები და შორტები, ზედმეტად ამოჭრილი მაისურები და პერანგები, ასევე ნებისმიერი ფერის ჯინსი. გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ ექსკურსიებისა და სხვადასხვა ღონისძიებების დროს. სპორტული ჩაცმულობა დასაშვებია მხოლოდ სპორტის მასწავლებლებისთვის.

სკოლა არ ავალდებულებს თანამშრომელს სამუშაოზე გამოცხადდეს ფორმალური-ბიზნეს ჩაცმულობით. მისაღებია თანამშრომლების ე.წ. „ბიზნეს ქეჟუალ“ ჩაცმულობა, რაც გულისხმობს, რომ თანამშრომელი არაა ვალდებული ეცვას კოსტიუმი, ეკეთოს ჰასტუხი ან ეცვას მაღალქუსლიანი

ფეხსაცმელი, თუმცა ვალდებულია, რომ თანამშრომლის ჩაცმულობა შეესაბამებოდეს საოფისე პირობებს.

<u>ფეხსაცმელი</u>: უსაფრთხოების მიზნით სკოლაში აკრძალულია ე.წ. სანდლების და შლაპუნების ტარება.

<u>პირადი ჰიგიენა</u>: სკოლის ყველა თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას პირადი ჰიგიენა, მოწესრიგებული ჰქონდეს თმა და ფრჩხილი.

<u>თავსაბურავი:</u> სკოლის შენობაში არ შეიძლება ქუდების, კეპების და სხვა თავსაბურავების ტარება. თავსაბურავების ტარება დასაშვებია მხოლოდ რელიგიური ან სამედიცინო გარემოებების გათვალისწინებით.

<u>გამონაკლისი</u>: მოცემული სტანდარტიდან გამონაკლისის დაშვება შესაძლებელია მხოლოდ მენეჯმენტის მიერ დაანონსებული „არაფორმალურ“ პარასკევ დღეს ან სხვა განსაკუთრებული ღონისძიებების შემთხვევაში.

4.2 <u>მოსწავლის დრეს კოდი:</u> სკოლაში დანერგილია სასკოლო უნიფორმა, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესისთვის შესაბამისი კორპორატიული, საქმიანი ატმოსფეროს შექმნას და შენარჩუნებას. ხელს უწყობს დისციპლინის და სასწავლო გარემოს შესაბამისს უნარ-ჩვევების გამომუშავებას და განვითარებას. სასკოლო უნიფორმის დიზაინი შეესაბამება გლობალურად აღიარებულ ბიზნეს სტილს.

<u>ჩაცმულობა:</u> სკოლის თითოეული მოსწავლე (გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა) ვალდებულნი არიან დაემორჩილონ სასკოლო უნიფორმის ტარების პოლიტიკას და სკოლის მიერ დანერგილი სტანდარტის შესაბამისად სკოლაში წარმოდგენილნი იყვნენ სასკოლო უნიფორმით. სასკოლო წესების შესაბამისად შარვლის სიგრძე უნდა ფარავდეს კოჭს, ქვედაბოლო - კი იყოს მუხლამდე. თანსაცმელი უნდა იყოს სუფთა, მოწესრიგებული და კარგ მდგომარეობაში.

<u>ფეხსაცმელი:</u> უსაფრთხოების მიზნით სკოლაში აკრძალულია ე.წ. სანდლების და შლაპუნების ტარება.

<u>პირადი ჰიგიენა:</u> სკოლის ყველა მოსწავლე ვალდებულია დაიცვას პირადი ჰიგიენა, ქონდეს მოწესრიგებული, თმა და ფრჩხილი. მოსწავლეებს ეკრძალებათ სკოლაში გრძელი ფრჩხილების და მუქი ფერის ლაქის ტარება.

<u>აქსესუარები</u>: მოსწავლეებს ეკრძალებათ დიდი ზომის სამკაულის და მძიმე მაკიაჟის ტარება.

<u>თავსაბურავი:</u> სკოლის შენობაში არ შეიძლება ქუდების, კეპების და სხვა თავსაბურავების ტარება. თავსაბურავების ტარება დასაშვებია მხოლოდ რელიგიური ან სამედიცინო გარემოებების გათვალისწინებით.

<u>გამონაკლისი</u>: მოცემული სტანდარტიდან გამონაკლისის დაშვება შესაძლებელია მხოლოდ სკოლის ადმინისტრაციის მითითებით განსაკუთრებული ღონისძიებების დროს.

5. შესაბამისობა:

იმ შემთხვევაში თუ თანამშრომელი / მოსწავლე არ ითვალისწინებს ევროპული სკოლის მიერ მიმდინარე დრეს კოდს, შპს ევროპული სკოლა უფლებამოსილია მიიღოს შესაბამისი დისციპლინური ზომა, დადგენილი წესის შესაბამისად.

6. დამხმარე დოკუმენტები

- სკოლის შინაგანაწესი.
- მასწავლებლის სახელმძღვანელო.
- ეთიკის კოდექსი.